საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1494

ქ. თბილისი

22/10/2021

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს ,,გეო + ეკო სერვისის" სასარგებლო წიაღისეულის (108 997 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი)) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 1.1 და 2.1 ქვეპუნქტიების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს ,,გეო + ეკო სერვისის'' სასარგებლო წიაღისეულის (108 997 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი)) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N48 (04.10.2021 წ);
2. შპს ,,გეო + ეკო სერვისი'' ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N48 (04.10.2021 წ) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,გეო + ეკო სერვისს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,გეო + ეკო სერვისის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი